

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N12 - ბარათის დაცვის მომსახურება

1. ბარათის დაცვის მომსახურებით ბანკი კლიენტს ან/და დამატებითი ბარათის მფლობელს აუნაზღაურებს მესამე პირის მიერ (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ბარათის გამოყენება მოხდა მესამე პირის მიერ კლიენტის ან/და დამატებითი ბარათის მფლობელის ნებართვით) ბარათით ჩატარებული არალეგალური გადახდის ან/და განაღდების ოპერაციების შედეგად მიყენებულ ზიანს.
2. ბარათის დაცვის მომსახურება ვრცელდება ყველა სახის ბარათზე, რომელსაც აქვს ე.წ. ჩიპი.
3. ბარათის დაცვის მომსახურების ჩართვა უნდა განხორციელდეს ყველა ბარათზე ცალ-ცალკე, აგრეთვე, შესაძლებელია ერთ ბარათზე რამდენიმე სხვადასხვა ტიპის ბარათის დაცვის მომსახურების გაგრძელება.
4. ბარათის დაცვის მომსახურების ვადაა განაცხადის ხელმოწერიდან ერთი საანგარიშო წელი, ავტომატური გაგრძელების პირობით.
5. ბარათის დაცვის მომსახურებას ავტომატურად გაუგრძელებს ვადა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კლიენტის მიერ მოხდება საკომისიოს გადახდა.
6. იმ შემთხვევაში თუ ავტომატური გაგრძელებისას შესაბამისი ბარათის მოქმედების ვადის დასრულებამდე დარჩენილია 1 (ერთი) საანგარიშო წელზე ნაკლები, ვადა გაგრძელება ბარათის მოქმედების დარჩენილი ვადის შესაბამისად.
7. ბარათის დაცვის მომსახურების საკომისიოს გადახდა უნდა განხორციელდეს წინასწარ.
8. ბარათის დაცვის მომსახურების ავტომატურად გაგრძელების შემთხვევაში თუ ბარათის მოქმედების ვადის დასრულებამდე დარჩენილია 1 (ერთი) საანგარიშო წელზე ნაკლები, საკომისიოს მოცულობა განისაზღვრება კვარტლების რაოდენობის პროპორციულად (არასრული კვარტალი იანგარიშება როგორც სრული).
9. ბარათის დაცვის მომსახურების საკომისიოს გადაუხდელობის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია კლიენტის დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე შეწყვიტოს ბარათის დაცვის მომსახურება.
10. ბარათის დაცვის მომსახურების პერიოდში ბანკის მიერ ანაზღაურდება მაქსიმუმ 5 (ხუთი) არალეგალური ოპერაცია.
11. ბარათის დაცვის მომსახურების ტიპებია:
 - 11.1. სტანდარტი:
 - 11.1.1. გადახდის ან/და განაღდებისას ჩატარებული არალეგალური ოპერაციისას ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა – 2,000 (ორი ათასი) ლარი;
 - 11.1.2. ინტერნეტით ჩატარებული არალეგალური ოპერაციისას ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა - 400 (ოთხასი) ლარი;
 - 11.2. სტანდარტ პლუსი:
 - 11.2.1. გადახდის ან/და განაღდებისას ჩატარებული არალეგალური ოპერაციისას ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა – 6,000 (ექვსი ათასი) ლარი;
 - 11.2.2. ინტერნეტით ჩატარებული არალეგალური ოპერაციისას ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა - 1,200 (ათას ორასი) ლარი;
 - 11.3. პრემიუმი:
 - 11.3.1. გადახდის ან/და განაღდებისას არალეგალური ოპერაციისას ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა – 10,000 (ათი ათასი) აშშ დოლარი;
 - 11.3.2. ინტერნეტით ჩატარებული არალეგალური ოპერაციისას ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა – 2 000 (ორი ათასი) აშშ დოლარი.



საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N12 - ბარათის დაცვის მომსახურება

12. ბარათის დაცვის მომსახურება ხორციელდება ბარათის მოქმედების ვადის განმავლობაში.
13. ბარათის დაცვის მომსახურება ავტომატურად წყდება არალეგალური ოპერაციის დადგომისას, ასევე ნებისმიერი მიზეზით ბარათის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში.
14. ბანკის მიერ კლიენტისათვის შესაბამისი ლიმიტების ფარგლებში თანხის ანაზღაურების შემდეგ ბანკი უფლებამოსილია კლიენტის დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე გააუქმოს ბარათი.
15. კლიენტი ან/და დამატებითი ბარათის მფლობელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს ბარათის საშუალებით არალეგალური ოპერაციის განხორციელების შესახებ, ხოლო არალეგალური ოპერაციის განხორციელებიდან მაქსიმუმ 40 (ორმოცი) კალენდარული დღის განმავლობაში დამატებით მიმართოს ბანკს წერილობითი განცხადებით, რომელშიც აღწერილი იქნება ბარათით განხორციელებული არალეგალური ოპერაციის ფაქტები და გარემოებები.
16. ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო კლიენტი ან/და დამატებითი ბარათის მფლობელი ვალდებულია წარმოადგინოს არალეგალური ოპერაციის შესახებ დამატებითი წერილობითი ინფორმაცია შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოებისაგან (ან უცხო ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოსაგან) ან/და ნებისმიერი სხვა ინფორმაცია ან/და დოკუმენტი, რაც ბანკს ხელს შეუწყობს არალეგალური ოპერაციით განკარგული თანხების კლიენტისათვის ანაზღაურებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში.
17. ბანკი არალეგალური ოპერაციის თანხას არ აანაზღაურებს თუ:
 - 17.1. არალეგალური ოპერაციის თანხა აღემატება კლიენტის მიერ შეძენილ შესაბამის ბარათის დაცვის მომსახურების პაკეტის ლიმიტს.
 - 17.2. არალეგალური ოპერაციით დამდგარი დამატებითი ზიანი/ზარალი, რომელიც შესაძლოა გამოწვეულ იქნას არალეგალური ოპერაციის შედეგად;
 - 17.3. ბანკისათვის არ განხორციელებულა არალეგალური ოპერაციის შესახებ შეტყობინების მიწოდება დაუყოვნებლივ.
 - 17.4. ბანკისათვის არ განხორციელებულა ბარათის დაკარგვის, მოპარვის ან/და წვდომის კოდების მესამე პირის მიერ გაცნობის ფაქტების შესახებ შეტყობინების დაუყოვნებლივ მიწოდება.
 - 17.5. არალეგალური ოპერაციები განხორციელებულია უკონტაქტო აპლიკაციის გამოყენებით.
 - 17.6. ბანკის შეხედულებისამებრ რაიმე სახით დგინდება კლიენტის ან/და დამატებითი ბარათის მფლობელის კავშირი არალეგალურ ოპერაციასთან.
18. თუ არალეგალური ოპერაცია დაზღვეულია ნებისმიერი მესამე პირის მიერ, ანაზღაურების მოთხოვნით კლიენტმა პირველ რიგში უნდა მიმართოს აღნიშნულ მესამე პირს, ხოლო ბანკი მხოლოდ იმ შემთხვევაში აანაზღაურებს (მათ შორის ნაწილობრივ ანაზღაურებისას) არალეგალური ოპერაციით განკარგული თანხებს თუ ზემოაღნიშნული მესამე პირის მიერ არ განხორციელდება შესაბამისი ანაზღაურება. თუ ზემოაღნიშნული მესამე პირი უარს აცხადებს ანაზღაურებაზე, კლიენტი ვალდებულია ბანკს წარუდგინოს უარის თქმის დამადასტურებელი დოკუმენტი.
19. ბანკი უფლებამოსილია საკუთარი გადაწყვეტილებით, ჩაურთოს კლიენტს ბარათის დაცვის ნებისმიერი ტიპის მომსახურება საკომისიოს დარიცხვის გარეშე. აღნიშნული მომსახურების ვადა და პირობები განისაზღვრება ბანკის მიერ.